N 01-80
20/07/2023

80-01-4-202307201512

შპს ,,ენგურჰესი“-ს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (NAT) ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ
სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. **გია ხუბუა** - შპს ,,ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ზვიად კილასონია** - შპს ,,ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **ვახტანგ მოლაშხია** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
5. **იური შონია** - შპს ,,ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;
6. **შოთა საბულუა** - შპს ,,ენგურჰესის“ ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
7. **რევაზ გვაგვალია** - შპს ,,ენგურჰესის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - აპარატის ხელმძღვანელი;
2. **მედეა კორსანტია** -შპს ,,ენგურჰესის" იურიდიული სამსახურის უფროსი - აპარატის წევრი;
3. **რომან ლაგვილავა** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

შპს ,,ენგურჰესი“-ს ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული 2 ოთახიანი საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა - რომან ლაგვილავამ კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა შპს ,,ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული 2 ოთახიანი საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) (NAT) ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან მებონიამ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ბაზრის კვლევის განხორციელებისას, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იხელმძღვანელა შემდეგი პრინციპებით: ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომის, თანასწორი მოპყრობისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა. გამომდინარე ზემოხსენებულიდან, შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მიერ შესყიდვის ობიექტის იდენტური სამუშაოების მოცულობა მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გადაეგზავნა 4 (ოთხი) პოტენციურ მიმწოდებელს, საიდანაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3 (სამმა) პოტენციურმა მიმწოდებელმა და წარმოადგინა კომერციული წინადადება, კერძოდ:

N1 პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 25500 (ოცდახუთი ათას ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
N2 პრეტენდენტის - 24000 (ოცდაოთხი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
N3 პრეტენდენტის - 22224 (ოცდაორი ათას ორასოცდაოთხი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ლ. მებონიამ სატენდერო კომისიის წევრებს განუმარტა, რომ მისაღებად მიაჩნია სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს შემოთავაზებული წინადადებებიდან ყველაზე უმცირესი ფასი, კერძოდ: 22224 (ოცდაორი ათას ორასოცდაოთხი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს ელექტრონული ტენდერის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15

მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 22224 (ოცდაორი ათას ორასოცდაოთხი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ლევან მებონია

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

გია ხუბუა

ტექნიკური დირექტორი

ზვიად კილასონია

ფინანსური დირექტორი

ვახტანგ მოლაშხია

შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

იური შონია

რემონტების მენეჯერი

შოთა საბულუა

ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსი

რევაზ გვაგვალია

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

მედეა კორსანტია

იურიდიული სამსახურის უფროსი

რომან ლაგვილავა

შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი